„ჩინგუტი საქართველოა, სიმღერა ჩვენ ვართ ყველაო“

ოლხეთი

გამოდის 1923 წლის 1 მაისიდან

სენაკის მუნიციპალიტეტის თავისუფალი გაზეთი

2019 წელი • №25 (9473) • 30 დეკემბერი • სპეციალური გამოშვება

ახალი წელი ყველა ოცნების ასრულებას დაუდებს დასაბამს

ჩემო თანამემამულენო, ძვირფასო სენაკელებო, გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს.

ბედნიერება, სიხარული არ მოკლებოდეს თქვენს ოჯახებს. მშვიდობას, წარმატებებს, ახალ გამარჯვებებს გისურვებთ.

დამდეგ ახალ წელს ვულოცავ ჩვენს ჯარისკაცებს, მათ, ვინც თავდაუზოგავად ემსახურება ქვეყანას, ხალხს. განსაკუთრებით მინდა მივულოცო ყველა იმ ადამიანს, ვისაც ახალ წელის ღამეს პროფესიულ მოვალეობას შესრულება უწევს.

ახალ წელს ვულოცავ ემიგრაციაში მცხოვრებ ჩვენს თანაქალაქელებს და მონატრებულ სამშობლოში დაბრუნებას ვუსურვებ.

2019 წელი სენაკის მუნიციპალიტეტისთვის გამორჩეული იყო თვისობრივი წინსვლით, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მასშტაბური პროექტების განხორციელებით. თვითმმართველობაში მოსვლის დღიდან, ჩემს გუნდთან ერთად, ჩემი საქმიანობის წარმმართველი და პრიორიტეტული საზოგადოებასთან მუდმივი კავშირია. ერთად დგომით და ერთმანეთის მხარდაჭერით ყველაფერს შევძლებთ.

ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის, 2020 წელი განვითარების შეუქცევადი პროცესებით, ახალი და სასიკეთო პროექტების განხორციელებით გამორჩეული წელი იქნება.

გილოცავთ და მჯერა, რომ 2020 ყველა ოცნების ასრულებას დაუდებს დასაბამს.

ლევან კუპრეიშვილი,
სენაკის მუნიციპალიტეტის მერი

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის ანგარიში

2019 წელი სენაკის მუნიციპალიტეტისთვის გამორჩეულია თვისობრივი წინსვლით, საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურულ-საგანმანათლებლო მასშტაბური პროექტების განხორციელებით.

თვითმმართელობაში მოსვლის დღიდან, ჩემს გუნდთან ერთად, მთელი ძალისხმევით შევუდექი მუნიციპალიტეტში მცხოვრები ჩვენი მოქალაქეების უმნიშვნელოვანესი პრობლემებისა და საჭიროებების შესწავლას, გამოკვეთას და ჩვენი საქმიანობის ამ მიმართულებით წარმართვას.

2018 წელს წარამტებით განხორციელდა ძირეული ძვრები ეკონომიკური გაჯანსაღების, მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი ყველა სეგმენტის განახლების და წინსვლის თვალსაზრისით.

2019 წელს ჩვენ გამოკვეთილად დავიწყეთ კონკურენტუნარიანი მასშტაბური პროექტების განხორციელება, აქტიურად გავაუმჯობესეთ სენაკში ძლიერი ბიზნეს-გარემოს ფორმირების, ინვესტიციების მოზიდვის, სოფლის მეურნეობის, ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები.

ჩვენი საქმიანობისთვის წარმმართველი და პრიორიტეტულია საზოგადოებასთან მუდმივი კავშირი, მისგან წამოსული ინიციატივებით ხელმძღვანელობა, არსებულ გამოწვევებსა და მათი გადაჭრის შესაძლებობებზე ხალხთან ღიად საუბარი.

დღეს, როგორც არასდროს, საზოგადოებას აქვს შესაძლებლობა, არა მარტო აკონტროლოს ხელისუფლების საქმიანობა, არამედ, მონაწილეობაც მიიღოს თვითმმართველობის საქმიანობაში. ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების ერთობლივი საქმიანობის კურსი, რომელსაც ამჟამინდელი ხელისუფლების მოსვლიდან ჩაეყარა საფუძველი, მუდმივად ვითარდება და ქვეყნის ყოველმხრივი წინსვლის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ახლა წარმოგიდგენთ ჩვენი საქმიანობის შედეგებს 2019 წლის დასაწყისიდან დღემდე, თუ რისი გაკეთება შევძელით და რა პროექტებს ვგეგმავთ სამომავლოდ.

სენაკის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი დამტკიცდა 9186,1 ათასი ლარით.

წლის განმავლობაში, დამატებით მიღებული შემოსავლების გათვალისწინებით, სენაკის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დაზუსტებულმა გეგმამ საშემოსავლო ნაწილში შეადგინა 17651,6 ათასი ლარი.

მათ შორის:

სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებია 8477,5 ათასი ლარი;

აქედან:

• დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელბლად - 607,9 ათასი ლარი;

• საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი სამუშაობისათვის - 4612,6 ათასი ლარი;

• სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებისათვის - 1410,0 ათასი ლარი;

• სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამით - 487, 6 ათასი ლარი;

• სოფლის მხარდაჭერის პროგრამით - 738,0 ათასი ლარი;

• საჯარო სკოლების რეაბილიტაციისათვის - 470,0 ათასი ლარი;

• ამბულატორიების რეაბილიტაციისათვის - 151,4 ათასი ლარი.

საკუთარი შემოსავლებია - 9174,1 ათასი ლარი.

შემოსავლების ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15475,8 ათასი ლარი.

2019 ნლის თერთმეტ თვეში მუნიციპალიტეტის სახსრებით გაიხარჯა :

• ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციაზე - 8200,8 ათასი ლარი;

• კულტურის, რელიგიურ, ახალგაზრდულ და სპორტულ ღონისძიებებზე - 1145,1 ათასი ლარი;

• განათლებაზე - 1909,2 ათასი ლარი;

• მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 827,5 ათასი ლარი;

• თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 57,7 ათასი ლარი;

• წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება - 2109,0 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ 2018 წელთან შედარებით, 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 2893,1 ათასი ლარით.

2019 წელს განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულებამ შეადგინა 16 093 809,7 ლარი, მათ შორის - გზების რეაბილიტაციაზე დაიხარჯა - 5 475 266,96 ლარი, ტროტუარებისა და ბორდიურების მოწყობაზე - 377 000 ლარი, ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოებზე - 131 131 ლარი, მრავალბინიანი კორპუსების ფასადების რეაბილიტაციაზე - 288 645 ლარი. სტადიონების მოწყობაზე - 350 000 ლარი, სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების რეაბილიტაციაზე - 1 410 000 ლარი, ნაპირსამაგრ სამუშაოებზე - 123 418 ლარი, გაზიფიცირების სამუშაოებზე - 5 601 225ლარი, გარე-განათების ქსელის მოწყობასა და მოვლა-პატრონობაზე - 125 200 ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებაზე 738 000 ლარი, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების რეაბილიტაციაზე - 450 378,7 ლარი, სსიპ გადაუდებელი სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების რაიონული სამსახურის შენობის მშენებლობაზე 250 000 ლარი, სტიქიის პრევენციის სამუშაოებზე - 420 000 ლარი, ადმინისტრაციულ ერთეულებში ამბულატორიების რეაბილიტაციაზე - 153 000 ლარი, სამელიორაციო და დაშრობით პროექტებზე - 200 545 ლარი.

*** დაიწყო კონკურენტუნარიანი მასშტაბური პროექტების განხორციელება.**

*** ინფრასტრუქტურული პროექტების ღირებულებამ შეადგინა 16 093 809,7ლარი**

*** საგრძნობლად გაუმჯობესდა ქალაქის იერ-სახე.**

აღნიშნულ პროექტებზე 580 ადგილობრივი მაცხოვრებელი იყო დასაქმებული.

მიმდინარე წელს, სენაკის მუნიციპალიტეტში განხორციელდა მასშტაბური საგზაო ინფრასტრუქტურის პროექტები, ასფალტობეტონისა და რკინაბეტონის მოწყობითი სამუშაოები.

2019 წელს, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, რეაბილიტირდა 24,453 კილომეტრი საავტომობილო გზა. მათ შორის ქალაქად - 12 ქუჩა, რაც შეადგენს 8,227კმ-ს, ღირებულებით 1 608 681,48 ლარი. ხოლო ადმინისტრაციულ ერთეულებში,ღირებულებით - 3 866 585,48 ლარი, რეაბილიტირდა და მოეწყო 16, 883კმ. საავტომობილო გზა.

უნდა აღინიშნოს, რომ რეაბილიტაცია ჩაუტარდა ისეთი გზებსაც, რომლებსაც ათწლეულების მანძილზე აღდგენითი სამუშაოები არ ჩატარებია. ეს ეხება როგორც შიდა მუნიციპალურ, ასევე სახელმწიფო დანიშნულების გზებს.

ასფალტის საფარი პირველად დაიგო კოლხეთის, ნაროუშვილის, დემურიას ქუჩებზე, ნოდარ კანკიას ქუჩის მეორე შესახვევში, ნუცუბიძის ქუჩის ხოფერიას ქუჩამდე დამაკავშირებელ გზაზე, ნუცუბიძის ქუჩიდან ნოდარ კანკიას ქუჩამდე, ჩხეტიას ქუჩის პირველი ჩიხის ზედა მონაკვეთსა და სასაფლაომდე მისასვლელ გზებზე.

ამჟამად, მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს ბელიაშვილის ქუჩაზე.

წლების შემდეგ, რკინატობეტონის საფარი პირველად დაიგო თბილისის ქუჩის მეორე შესახვევსა და ქუთაისის ქუჩის ბოლოს - დედათა მონასტრის მიმდებარედ.

საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები პირველად განხორციელდა ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში - ზემო კოტიანეთის და საესებუოს უბნის გზებზე, გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულში - გეჯეთი-წყემის დამაკავშირებელ გზაზე, თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში - რეკა-ბათარიას დამაკავშირებელ გზაზე და სოფელ საწულეისკირიოში, რის შედეგადაც, საავტომობილო გზის კეთილმოწყობის წლების მანძილზე არსებული პრობლემა გადაწყდა.

თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის გოლასკურის უბანში, დაწყებულია მასშტაბური საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება. მიმდინარეობს 7,2 კმ. საავტომობილო გზის მოწყობის პროცესი. მუნიციპალიტეტის სინამდვილეში უპრეცედენტო პროექტის ღირებულება 2 365 000 ლარს შეადგენს და 2020 წლის აპრილის ბოლოს დასრულდება.

2018-2019 წლებში, ქალაქ სენაკში, ფაქტობრივად, მთელი ქალაქის მასშტაბით განხორციელდა ტროტუარებისა და ბორდიურების რეაბილიტაციისა და მოწყობის სამუშაოები.

2019 წელს, ქალაქის მასშტაბით, აქტიურად გრძელდება ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობა. ტროტუარები და ბორდიურები რეაბილიტირდა აკაკი ელიავასა და ჭავჭავაძის ქუჩებზე. დაიგო დეკორატიული ფილები, რამაც მოქალაქეთა კომფორტულ გადაადგილებას შეუწყო ხელი.

მე-1

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის

სენაკის მასშტაბით, ასევე განხორციელდა ეზოების კეთილმოწყობისა და მრავალბინიანი კორპუსების გარე კედლების სარეაბილიტაციო სამუშაოები. შედეგად, ამ პროექტებმა ქალაქს განახლებული იერი შესძინა.

სენაკის მუნიციპალიტეტში, სტიქიისგან დაზიანებული ობიექტების სარეაბილიტაციო პროექტების ძირითადი ნაწილი დასრულებულია. ქალაქის მასშტაბით, 29 ობიექტზე და მენჯის, თეკლათის, ფოცხოს, ლეძაძამეს, ეკის, ხორშის, ნოსირის, ძველი სენაკის, უშაფათის ადმინისტრაციული ერთეულების 31 ობიექტზე, მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა. სანიაღვრე არხებზე და ღელეებზე რეაბილიტირდა და მოეწყო რკინაბეტონის ჯებირები, ნაპირდამცავი გაბიონები, ცხაურები, ჩატარდა საძირკვლის გამაგრებითი სამუშაოები. რეაბილიტირა და მოეწყო მილხიდები, ხიდბოგირები, სტიქიისგან დაზიანებული გზები, წყლის მილები, ბეწვის ხიდები და სხვა. სამუშაოების საერთო ღირებულებამ 1 410 000 ლარი შეადგინა.

წლების შემდეგ, მსგავსი მასშტაბის და მნიშვნელობის სამუშაოები პირველად ხორციელდება, რაც თავიდან აგვაცილებს დატბორვის საშიშროებებს და სტიქიის შედეგად გამოწვეულ ზიანს.

ქალაქის მასშტაბით ასევე განხორციელდა სტიქიის პრევენციის სამუშაოები, ღირებულებით 420 000 ლარი, რაც უმნიშვნელოვანესია სტიქიის მძიმე შედეგების თავიდან აცილების თვალსაზრისით.

დასრულებულია ასევე, მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი პროექტი - სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის ახალი შენობის სამშენებლო სამუშაოები, რომლის ღირებულებამ 249 950 ლარი შეადგინა. სამედიცინო პერსონალისთვის გათვალისწინებული კეთილმოწყობილი სამუშაო ოთახებით, სამედიცინო აპარატურის და მედიკამენტებისთვის განკუთვნილი სათავსოებით, სველი წერტილებით, შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილ სასწრაფო სამედიცინო დახმარების ახალ თანამედროვე სტანდარტების დაწესებულებაში, ყველა სათანადო პირობაა შექმნილი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურეობისა და აქ დასაქმებული კადრების სრულფასოვანი მუშაობისთვის.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში - ეკის, ზანის, ნოსირის, ზემო ფოცხოს საექიმო ამბულატორიებს სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდათ. პროექტი, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №554 განკარგულების შესაბამისად, სოფლად მოსახლეობისთვის პირველადი ჯანდაცვის მომსახურეობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელდა. მიმდინარე სამუშაოების საერთო ღირებულებამ 151 383 ლარი შეადგინა. ამბულატორიების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას ემსახურება.

საგრძნობლად გაუმჯობესდა ქალაქის იერსახე. გარე განათების სისტემები, (დიოდური) სანათებით, დამონტაჟდა ქალაქის 40-ზე მეტ ქუჩაზე, თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრალურ გზაზე და გოლასკურის უბანში. სულ, მუნიციპალიტეტის მასშტაბით - 14,5 კმ-ზე. გარეგანათების მოწყობის სამუშაოებზე 32 000 ლარი დაიხარჯა.

მიმდინარე წელსაც ინტენსიურად განხორციელდა სანიაღვრე და საწრეტი არხების მოწყობისა და გაწმენდის სამუშაოები. 2019 წელს, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ამოიწმინდა 2 450 გრძივი მეტრი, ხოლო გაიჭრა 600 გრძივი მეტრი სანიაღვრე არხი. შედეგად, მოგვარდა პრობლემა, რომელიც წლების განმავლობაში, უხვი ნალექის დროს იქმნებოდა.

ორწლიანი პაუზის შემდეგ, 2009 წლიდან მოქმედი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" , 2019 წლის 1 იანვრიდან, განახლებული სახით აღდგა.

პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობასთან კონსულტაციებითა და სოფლის კრებებზე მიღებული გადაწყვეტილებებით შერჩეული 193 ინფრასტრუქტურული პროექტი იქნა განხორციელებული. მათ შორის: წყლის სისტემის, სანიაღვრე არხების, ნაპირსამაგრი გაბიონების, სკვერების, მოსაცდელების, გარეგანათების, გზების მოხრეშვა-მოშანკადების, კიუვეტების, მინი საფეხბურთო მოედნების, სკვერების, ხიდების, საბავშვო ბაღების, ატრაქციონების რეაბილიტაცია-მოწყობის სამუშაოები – ეს იმ ინფრასტრუქტურული პროექტების არასრული ჩამონათვალია, რომლის განხორციელებისთვის, სენაკის მუნიციპალიტეტში, 738 000 ლარი დაიხარჯა.

2019 წელს მუნიციპალიტეტში მასშტაბური დაშრობითი და სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა.

დაშრობითი და სამელიორაციო სამუშაოები ჩატარდა ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, 204 ჰექტარზე ღირებულებით 57 000 ლარი, თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში - 108 ჰექტარზე - 50 000 ლარის ღირებულებით. და ნოქალაქევში - 13 ჰექტარზე - 8 900 ლარის ღირებულებით.

ამ ეტაპზე, ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, 13 ჰექტარზე, ასევე სამელიორაციო სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოების ღირებულება შეადგენს 13 300 ლარს.

თეკლათის ადმინისტრაციული ერთეულში განხორციელდა და გრძელდება მასშტაბური გაწმენდითი სამუშაოები - სოფლის ზედა მხარეს გაიწმინდა 2 კმ. სიგრძის არხი, 300 ჰექტარ ფართობზე ღირებულებით - 16 267 ლარი. აქვე, გოლასკურის უბანში, გაიწმინდა არხი 3 605 გრძივ მეტრზე. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ 15 160 ლარი შეადგინა.

გოლასკურის უბანში, ასევე, 2 690 გრძივ მეტრზე, მიმდინარეობს არხის გაწმენდითი სამუშაოები ღირებულებით - 15 160 ლარი.

*** ორწლიანი პაუზის შემდეგ, განახლებული სახით აღდგა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა"**

*** გაზიფიცირება მერიის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.**

*** მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე 25 ობიექტია.**

თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, რკინიგზის მიმდებარედ, ამოიწმინდა 2 კილომეტრი სიგრძის არხი ღირებულებით - 9 360 ლარი.

გოლასკურის უბანში, მეცხოველეობის ფერმის მიმდებარედ, ასევე განხორციელდა 2,6 კმ არხის ამოწმენდითი სამუშაოები, ღირებულებით 15 398 ლარი.

შედეგად, ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულებში, აღმოიფხვრა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა და საკარმიდამო ნაკვეთების დატბორვის საფრთხე.

სულ, 2019 წელს, მუნიციპალიტეტის მასშტაბით, 200 545 ლარის სამელიორაციო და დაშრობითი სამუშაოები განხორციელდა.

მიმდინარე წელს, ქალაქ სენაკში, წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია, მშვიდობის და შამათავას ქუჩებზე, ასევე, მენჯის ადმინისტრაციული ერთეულის ბათარიას უბანში ჩატარდა. წყალმომარაგების სისტემა რეაბილიტირდა 352 გრძივ მეტზე. შედეგად, ზემოთქმული უბნები უზრუნველყოფილია უწყვეტი წყალმომარაგებით. უახლოეს პერიოდში, ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში იგეგმება წყალმომარაგების სისტემის მოწყობა 350 გრძივ მეტრზე.

2019 წელსაც, სენაკის მუნიციპალიტეტში გაზიფიცირების სამუშაოები აქტიურად ხორციელდება. სრული გაზიფიცირება მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ქალაქად და სოფლად, მერიის საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

ქალაქში გაზიფიცირდა 11 ქუჩა და ყოფილი სამხედრო ქალაქის დასახლება, რაც, დაახლოებით, 11 კილომეტრს შეადგენს. გაზმომარაგების პრობლემა ქალაქად გადაუწყდა 694 აბონენტს. სოფლად გაზიფიცირდა ახალსოფლის, თეკლათისა და ნოსირის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობა - გაზსადენის ქსელზე 389 აბონენტი დაერთდა.

მიმდინარე წელს გაზსადენის მაგისტრალი ქალაქად გაყვანილ იქნა 201 451 გრძივ მეტრზე. ადმინისტრაციულ ერთეულებში, ბოლო ორი წლის მანძილზე, მაგისტრალი გაყვანილ იქნა შემდეგ სოფლებში - თეკლათი, ნოქალაქევი, ნოსირი, ახალსოფელი, ძვ. სენაკი, სორტა, გეჯეთი, რაც გათვლილი იყო 3181 აბონენტის ქსელში დაერთებაზე.

2019 წელსაც აქტიურად მიმდინარეობდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნისა და ჩამოყალიბების პროცესი. წარმატებულად გრძელდება შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამა. მიმდინარე წელს, სოფლის მეურნეობის ნაწილში „შეღავათიანი აგროკრედიტის" ფარგლებში, მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 2 საწარმო. 37 ბენეფიციარზე გაცემული თანხის რაოდენობამ 1 000 000 ლარზე მეტი შეადგინა.

სახელმწიფო პროგრამის „დანერგე მომავალი" მრავალწლიანი ბაღების თანადაფინანსების კომპონენტის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში დაფინანსება მიიღო ხუთმა საწარმომ. კენკროვანი კულტურების ფარგლებში, გაშენებულია და გაშენების სტადიაშია 51,7 ჰა.

ამავე დროს, კენკროვანი კულტურების ფარგლებში, რომელიც, მცირე საოჯახო მეურნეობებში პლანტაციების გაშენებას ითვალისწინებს, ნიადაგის ლაბოროტორიული ანალიზისათვის სინჯი აღებულია 20 ნაკვეთიდან.

ბაღების დაფინანსების ნაწილში გაწეულმა ინვესტიციამ ჯამში 5 300 000 ლარი შეადგინა.

2019 წელსაც სენაკის მუნიციპალიტეტში ფართო მასშტაბით წარმოებული აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების ძირითადი მიზანი მავნებლის რაოდენობის მაქსიმალური შემცირება და კონტროლი იყო, რომ მინიმუმამდე დაყვანილიყო სასოფლო-სამეურნეო კულტურების დაზიანების მასშტაბი და მისგან გამოწვეული ეკონომიკური ზარალი, რაც შედეგიანად წარიმართა.

ამისთვის განხორციელდა საჯარო მოხელეებისა და ამ სამუშაოებში ჩართული სპეციალისტების გადამზადება და საინფორმაციო კამპანია. სურსათის ეროვნული სააგენტოს, საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურისა და მერიის შესაბამისი სამსახურების ჩართულობით, საინფორმაციო შეხვედრები მოსახლეობასთან უბნების მიხედვით გაიმართა,

სადაც მათ მიეწოდათ ამომწურავი ინფორმაცია მავნებელთან ბრძოლის მექანიკურ მეთოდებზე, ასევე, თხილის კულტურაში გავრცელებული სხვა დაავადების პროფილაქტიკისთვის გასატარებელი ღონისძიებებისა და გამოსაყენებელი პრეპარატების შესახებ.

სენაკის მუნიციპალიტეტის ქალაქსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში, მაისისა და ივნისის თვეებში, ცივი შესხურებით დამუშავდა 1346,4 ჰა, რაც მოიცავდა განთავსებული ფერომონების და ჯაგნარების შეწამვლით სამუშაოებს. სახელმწიფო პროგრამის „მოიზიდე და გაანადგურე" ფარგლებში, მუნიციპალიტეტში თერმული ნისლით დამუშავდა 5250 ჰა. ტყის პერიმეტრი - 136 ჰა. პროგრამის განსახორციელებლად გადაცემულია 1420 ცალი ფერომონი. აღნიშნული სამუშაოები განმეორდა სექტემბერ-ოქტომბრის თვეებში, რამაც საგრძნობლად შეამცირა მუნიციპალიტეტში ინოვაზიური მავნებლის გავრცელების არეალი. ფაროსანას საწინააღმდეგო კომპანიამ მავნებლის სრულ გაქრობამდე გაგრძელდება.

ტურიზმი საქართველოს ეკონომიკის გამორჩეულად პრიორიტეტული, განვითარებადი სექტორია.

სენაკის მუნიციპალიტეტს ტურისტული მომსახურეობის კუთხით გააჩნია გარკვეული შესაძლებლობები, რაც იძლევა საშუალებას მოხდეს ტურისტების დაინტერესება და შესაბამისი მომსახურეობების განვითარებისთვის ხელშეწყობა.

მუნიციპალიტეტში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე 25 ობიექტია.

სენაკის მუნიციპალიტეტს აქვს პოტენციალი განავითაროს სხვადასხვა სახის ტურიზმი: საცხენოსნო, საფეხმავლო, ეკოტურიზმი, სამონადირეო, სამყვარულო თევზჭერა, აგროტურიზმი, პილიგრიმული, პალეო ტურიზმი, არქეოლოგიური, ბალნეოლოგიური, საგანმანათლებლო ტურიზმი და სხვა.

ისტორიულ-კულტურული ტურიზმის განსავითარებლად სენაკის მუნიციპალიტეტში მდებარეობს კულტურული მნიშვნელობის მრავალი ძეგლი, რომელთაგან გამორჩეულია ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიურ მუზეუმ-ნაკრძალი, რომელსაც რეგიონში წამყვან ტურისტულ ცენტრად ჩამოყალიბების საკმაოდ მნიშვნელოვანი პოტენციალი გააჩნია.

ამ კუთხით, მუნიციპალიტეტში უმნიშვნელოვანესია ქვეყნის მასშტაბით გრანდიოზული პროექტის, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - ნოქალაქევის არქეოლოგიური კომპლექსის სრული რეაბილიტაცია.

საქართველოს მთავრობის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და მხარდაჭერით, გრძელდება ნოქა- მე-3

2019 წლის ანგარიში

ლაქევის მუზეუმ-ნაკრძალის სარეაბილიტაციო-საკონსერვაციო სამუშაოები, რომლის დასრულებაც 2022 წლისთვისაა დაგეგმილი.

განვლილ წელს სააგენტოს დაკვეთით წარმართულმა რეაბილიტაციისა და კონსერვაციის სამუშაოების ეტაპებმა ნაქალაქარის ქვედა ტერასის ყველა სეგმენტი მოიცვა, რაც გვირაბის, რკინის ხიდის, საფორტიფიკაციო ნაგებობების, სასახლეებისა და უნიკალური წყალსაცავის მოწესრიგებასა და სრულ კონსერვაციას ითვალისწინებდა.

დასრულდა ორმოცმოწამეთა ტაძრის კედლის მხატვრობის კონსერვაციის ეტაპიც, რომელიც სამხატვრო აკადემიის მხატვარ-რესტავრატორთა ჯგუფმა განახორციელა. ტაძარი სრულად გადაიხურა ავთენტური ფორმის კრამიტით, რომლის დიზაინის დადგენაც არქეულოგიური გათხრებისას გამოვლენილი უძველესი კრამიტის შედეგად გახდა შესაძლებელი.

მუზეუმ-ნაკრძალის სამხრეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში სრულად რეაბილიტირდა და გამაგრდა მდინარის გაბიონები. მოეწყო ავტოსაპარკინგე მეურნეობა. სარეაბილიტაციო პროექტის ფარგლებში სრულდება ნაქალაქარის ქვედა ტერასის ინფრასტრუქტურული ნაწილის მოწესრიგების სამუშაოები. ეწყობა სავალი ბილიკები, მისასვლელი გზები და საინფორმაციო ბანერები.

ამ ეტაპზე, მიმდინარეობს მუზეუმ-ნაკრძალის მიმდებარე ტერიტორიის აღჭურვა ისტორიულ-სანახაობრივი ატრაქციის ელემენტებით, რომელიც სამომავლოდ ნოქალაქევის მიმართ ვიზიტორთა ინტერესს მნიშვნელოვნად გაზრდის.

უკვე დასრულებულია ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის ფერდობისა და ციტადელის პროექტირების სამუშაოებიც. პროექტის ფარგლებში, ასევე იგეგმება, ახალი სამუზეუმო სივრცის მოწყობა, სადაც, ექსპოზიციის სახით, ნოქალაქევის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტები გამოიფინება. ახალ მუზეუმშივე განთავსდება თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბორატორია, რომელიც დასავლეთ საქართველოში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მიდინარე არქეოლოგიურ მისიებს მოემსახურება.

ლაბორატორიის ტექნიკურ აღჭურვას სამომავლოდ იაპონიის ტოკიოს უნივერსიტეტი უზრუნველყოფს.

2016 წელს დაწყებულ კომპლექსურ სამუშაოებს სრულად აფინანსებს საქართველოს მთავრობა. მუზეუმ-ნაკრძალის რეაბილიტაციისთვის სახელმწიფო ბიუჯეტი, 4 წლის განმავლობაში, 14 მილიონ ლარს გაიღებს.

მერიის ეკონომიკური განვითარების, სტატისტიკის და ქონების მართვის სამსახურის მიერ, აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა ტურიზმის კუთხით შემუშავებული მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების გეგმის მიხედვით. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიამ, მონაწილეობა მიიღო UNDP - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, პროექტის - რეგიონული და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოში (FRLD) - ფაზა 2 - ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში. ჩვენს მიერ წარდგენილ იქნა პროექტი - „სენაკის ეკონომიკური განვითარება ტურიზმის ხელშეწყობის გზით". აღნიშნული პროექტი ფინანსდება გაეროს განვითარების პროგრამისგან (UNDP), შვეიცარიისა და ავსტრიის მთავრობებისგან და ითვალისწინებს ნოქალაქევში, მდ. ტეხურის ხეობაში, რეკრეაციული ზონის განვითარებისთვის სათავგადასავლო და დასასვენებელი ატრაქციების მოწყობას, რაც მუნიციპალიტეტში, ტურიზმის განვითარების ერთერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი გახდება.

ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წლების შემდეგ, შხეფის ციხემდე მისასვლელ მიუვალ გზას ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, რამაც მოიზიდა და გაზარდა, როგორც ადგილობრივი დაინტერესებული პირების, ასევე ვიზიტორთა რიცხვი.

სენაკის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მიზნობრივი პროგრამებიდან, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოწყვლადი ჯგუფებისა და პირების დაცვა-გაძლიერების მიზნით, განხორციელდა მათი გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა, კერძოდ, პროგრამების ფარგლებში, მიმდინარე წლის შედეგები ასეთია:

- სოციალურად დაუცველი და მეურვეობას მოკლებული 220 მოქალაქე უზრუნველყოფილია დღეში ერთჯერადი სადილით;
- 48 გარდაცვლილი დევნილი და ომის ვეტერანთა ოჯახებისთვის სარიტუალო მომსახურების ხარჯების დაფარვის კუთხით, ფინანსური მხარდაჭერა განხორციელდა 9 900 ლარის ფარგლებში.
- სადღესასწაულო დღეებში სასურსათო პაკეტები გადაეცა 52 მრავალშვილიან ოჯახს, დედ-მამით ობლებს, 3 - ას წელს გადაცილებულ და 154 - სოციალურად დაუცველ, მეურვეობამოკლებულ მოქალაქეს.
- ხანძრის შედეგად დაზარალებულ 9 მოქალაქეზე განხორციელდა ფინანსური მხარდაჭერა 23 000 ლარის ფარგლებში.
- სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასულ პირებს, უსახლკარო, განსაკუთრებულად მძიმე სოციალური პირობების მქონე პირებს, რომლებსაც არ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი; ასევე რეინტეგრირებული ბავშვების ბიოლოგიური ოჯახებს, ფინასური მხარდაჭერა 11 000 ლარის ფარგლებში გაეწიათ.
- 606 ჯანმრთელობაგაუარესებულ მოქალაქეს, სტაციონარული და ამბულატორიული მკურნალობის დასაფინანსებლად, ფინანსური მხარდაჭერა გაეწია 270 000 ლარის ფარგლებში.
- 363-მა სოციალურად დაუცველმა ოჯახმა მიიღო უფასოდ 70-70 ლარის მედიკამენტები.
- თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე მყოფ 24 მოქალაქეზე, 26 500 ლარის ფარგლებში, დიალიზის ცენტრებამდე ტრანსპორტირების ყოველთვიური ხარჯების დაფინანსება განხორციელდა.
- 7 იშვიათი დაავადების მქონე პირს და 3 დედ-მამით ობოლ ბავშვს გაეწიათ დახმარება 8 700 ლარით.
- 52 მრავალშვილიან ოჯახს გაეწია ფინანსური მხარდაჭერა 26 000 ლარით.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 113 პირს ფინანსური დახმარება 15 100 ლარის ფარგლებში გაეწია.
- 100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებს, სამამულო ომის ვეტერანებს, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ლიკვიდაციაში მონაწილეებს, ISAF-ის მისიაში და აგვისტოს ომის დროს ომში დაღუპული მეომრების და მშვიდობიან მოქალაქეების ოჯახებს 8300 ლარის ფარგლებში გაეწიათ ფინანსური მხარდაჭერა.
- 64 სოციალურად დაუცველ ოჯახს, არსებული ავარიული საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციოდ, გადაეცა 100 000 ლარის ღირებულების საამშენებლო მასალები.

სენაკის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებიდან გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 610 665 ლარი.

საგანმანათლებლო სისტემის ხელშეწყობა და განვითარება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქვეყნის შემდგომი განვითარებისთვის. სკოლებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კეთილმოწყობილი გარემოს შექმნა ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია, რადგან სწორედ განათლებული, წიგნიერი, უწყვეტ განვითარებაზე ორიენტირებული თაობაა ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლის გარანტი.

აღსანიშნავია, რომ, მიმდინარე წელს, რეაბილიტირდა 10 საჯარო სკოლა - სენაკის III საჯარო სკოლის პირველი და მეორე კორპუსი, VII საჯარო სკოლა, თეკლათის, ლეძაძამეს, ნოსირის, მენჯის, გეჯეთის, ეკის საჯარო სკოლები, ნოსირის საჯარო სკოლის მეორე კორპუსი.

10 წლის შემდეგ, სასწავლო პროცესი განახლდა სენაკის III საჯარო სკოლის მე-2 კორპუსში. მოსახლეობისთვის განსაკუთრებით საჭირო ეს პროექტი დღევანდელი ადგილობრივი ხელისუფლების ძალისხმევით განხორციელდა, კეთილმოეწყო და სათანადო ინვენტარით აღიჭურვა საკლასო ოთახები და სველი წერტილები. სამომავლოდ, სკოლის რეაბილიტაციის პროცესი გაგრძელდება. დაგეგმილია სპორტული დარბაზის, მოედნისა და სკვერის მოწყობა.

კოტიანეთელების წინაშე მდგარი პრობლემა სოფლის საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის შეჩერება და მისი სრული რეაბილიტაციის საჭიროება იყო. მოსწავლეებს, ორი წლის მანძილზე, მეზობელი სოფლის საჯარო სკოლაში უწევდათ სიარული. ახლადრეაბილიტირებულმა კოტიანეთის საუკუნოვანმა საჯარო სკოლამ სასწავლო პროცესი ასევე სრული დატვირთვით განაახლა. სკოლაში სრულად რეაბილიტირდა საკლასო ოთახები, დერეფნები, სპორტული დარბაზი. კეთილმოეწყო წყალმომარაგების და გათბობის სისტემები.

მუნიციპალიტეტის ყველა სკოლა ინტერნეტიზირებულია. ინკლუზიური განათლების პროგრამით, მომსახურეობა გაეწია 81 მოსწავლეს. ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად ფინანსდება 21 სკოლის 192 პედაგოგის ტრანსპორტირების საფასური.

სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების 26 საბავშვო ბაღში 1310 აღსაზრდელია რეგისტრირებული, რომელთაც ახალ სასწავლო წელს კეთილმოწყობილი და განახლებული გარემო დახვდათ.

ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების მიერ, 2019 წელს ბაგა-ბაღებში ჩატარებული შენობის სარემონტო სამუშაოებმა შეადგინა 13815,47 ლარი.

მუნიციპალიტეტის ყველა საბავშვო და ბაგა-ბაღში, მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში :

სრულად გადაიხურა კოტიანეთის საბავშვო ბაღის შენობა, რეაბილიტირდა და შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვა ძველი სენაკის პირველი და მეორე, უშაფათის, მენჯის საბავშვო ბაღების სამზარეულოები და სასაწყობო ოთახები;

იატაკები განახლდა უშაფათის, ძველი სენაკის, ნოქალაქევის, ნოსირის და მენჯის საბავშვო ბაღებში;

ეკის საბავშვო ბაღში კეთილმოეწყო აღსაზრდელთა საძინებელი ოთახი;

რეაბილიტირდა ძველი სენაკის პირველი და თეკლათის საბავშვო ბაღების სახურავები;

სააღმზრდელო ოთახების სარემონტო სამუშაოები ჩატარდა ნოსირის, ძველი სენაკის პირველ და კოტიანეთის საბავშვო ბაღებში;

გათბობის სისტემის სამონტაჟო სამუშაოების პირველი ეტაპი დასრულდა ახალსოფლისა და თეკლათის საბავშვო ბაღებში;

კეთილმოეწყო მენჯის საბავშვო ბაღის ფასადი;

სველი წერტილები მოეწყო ხორშის საბავშვო ბაღში;

ეზოს შემოღობვითი სამუშაოები დასრულდა გეჯეთის საბავშვო ბაღში;

ადმინისტრაციული ერთეულების ყველა სააღმზრდელო დაწესებულებაში საბავშვო ატრაქციონები დამონტაჟდა;

ასევე, ინფრასტრუქტურული პროექტები განხორციელდა კოტიანეთის, ახალსოფლის, ლეძაძამეს, ქალაქის პირველ, მეორე და მეექვსე საბავშვო და ბაგა-ბაღებში;

ამ ეტაპზე, ყოფილი სამხედრო დასახლების ტერიტორიაზე, საბავშვო ბაღ „ოცნების" სრული რეაბილიტაციის პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. პროექტი, რომელსაც გერმანიის მთავრობა აფინანსებს და ლტოლვილთა დანიის საბჭო ახორციელებს, მიმდინარე წლის ბოლოს დასრულდება.

დადებულია ხელშეკრულება №5 ბაგა-ბაღის ახალი კორპუსის მშენებლობაზე. შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება 700 000 ლარს შეადგენს. შენობა ჩაბარდება 2020 წლის სექტემბერში.

2020 წელს იგეგმება №3, №4 ბაგა-ბაღების, ღვინჯილიას ქუჩაზე ახალი სააღმზრდელო დაწესებულების და ლეძაძამეს საბავშვო ბაღის მშენებლობა, №1, №2, და №6 ბაგა-ბაღების რეაბილიტაცია.

მუნიციპალიტეტში, მიმდინარე წელს ჩატარდა ისეთი მასშტაბური ფესტივალები და შესარჩევი კონკურსები, როგორებიცაა: „სენაკი-არტ ფესტივალი 2019", „საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების V ეროვნული კონკურსის რეგიონალური ტური", ჯემალ აჯიაშვილის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი კომპლექსური ღონისძიებები სენაკსა და თბილისში. საგანმანათლებლო პროექტები: „ნოქალაქევის ქართულ-ბრიტანულ ექსპედიციასთან არსებული ინგლისური ენის შემსწავლელი საზაფხულო სკოლა", „„საბავშვო არქეოლოგია", საგანმანათლებლო ინტელექტუალური მედიაპროექტი „ეტალონი", რომელმაც გამოავლინა სენაკის ეტალონ-მოსწავლე, მხატვრული კითხვის კონკურსი, საბჭოთა ოკუპაციის კვირეულისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ტრადიციად დამკვიდრდა პროფესიულ დღესასწაულზე დამსახურებულ პედაგოგთა დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი, რომელიც წელს პირველად ჩატარდა.

მუნიციპალიტეტში მასშტაბურად აღინიშნა 26 მაისი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსებიდან 101 წლის იუბილე, შთამბეჭდავად ჩატარდა სახალხო დღესასწაული „ეგრისობა", რომლის ფარგლებში, დღესასწაულის სტუმრებს ახლადდაფუძნებული ყველის ფესტივალი, ეთნოგრაფიული კუთხეები, მეგრული სამზარეულოს მრავალფეროვნება, ხალხური რწმენის ნიმუშებისა და ადგილობრივ შემოქმედთა ნამუშევრების გამოფენა მასპინძლობდა. აქვე გაიმართა„სენაკის

მე-4

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის ანგარიში

„საპატიომოქალაქის" წოდების მინიჭების ტრადიციული ცერემონიალი და შოუ-კონცერტი.

სენაკი, მიმდინარე წელსაც მრავალფეროვანი ღონისძიებებით შეუერთდა აქციას „ღამე მუზეუმში". ახალგაზრდობის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა ფერების ფესტივალი, მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის სცენაზე დაიდგა წარმოდგენები. მოეწყო 143-ზე მეტი მეთოდურ-პროფესიული და საგანმანათლებლო-შემოქმედებითი ხასიათის აქტივობა. მათ შორის აღსანიშნავია დამსახურებული მხატვრის რეზო ადამიას პერსონალური გამოფენა სახვითი ხელოვნების გალერეაში.

მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბდა ორი ანსამბლი - ფოლკლორისა და ქალაქურ-ლირიკული სიმღერების მიმართულებით. ასევე, ხაზგასასმელია, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის მერიასა და საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, სალოტბარო სკოლა შეიქმნა, რომელიც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქართული გალობისა და ფოლკლორის შესწავლის საქმეში.

2019 წელი წარმატებული აღმოჩნდა ახალგაზრდულ თეატრ „ფიროსმანის" დასისთვის, რომელმაც თურქეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე ლაურეატის წოდება მოიპოვა.

მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის საქმიანობა მნიშვნელოვანი სიახლეებით იყო გამორჩეული. მომავალი თაობის კლასიკურ მუსიკასთან და მხატვრობასთან ზიარებასთან ერთად, ცენტრში ხელი ეწყობა ქართული გალობის პოპულარიზაციას, ჩამოყალიბდა ხატწერის შემსწავლელი და საბალეტო ჯგუფები. სამუსიკო სკოლა სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობს საქართველოს ხელოვნების აკადემიასთან, საქართველოს საგუნდო საზოგადოებასა და ხელოვანთა გაერთიანებასთან - „ხელოვნები მომავლისთვის".

პროექტის „ ჩემი ფერადი სამყარო" ფარგლებში, სამხატვრო სკოლა ჩართულია საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის პროექტში „ნახატები ბიბლიურ თემაზე".

ხელოვნების ცენტრმა, საზაფხულო სკოლის ფორმატში, სახელოვნებო-საგანმანათლებლო პროექტი -„ცოდნა ხელოვნების გზით" განახორციელა. საქართველოს ეროვნულ კინოცენტრთან ერთობლივად მიმდინარეობს პროექტი „კინო სკოლაში". ასევე ხორციელდება სხვა საინტერესო პროექტები.

ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციას ეთმობა. ამ მიმართულებით, მუნიციპალიტეტის კულტურული მემკვიდრეობის ორივე ძეგლზე - ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალსა და აკ. ხორავას სახელობის სახელმწიფო პროფესიულ დრამატულ თეატრში აქტიურად მიმდინარეობს მასშტაბური სარეაბილიტაციო სამუშაოები.

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის აკაკი ხორავას სახელობის სენაკის სახელმწიფო დრამატული თეატრის რეკონსტრუქცია ფონდ „ქართუს" მხარდაჭერით ხორციელდება.

ისტორიული შენობის რეაბილიტაციის ფარგლებში ჩატარდა პირველადი აღდგენითი სამუშაოები, გამოიცვალა შენობის სახურავი, მოეწყო თბოიზოლაციის და სადრენაჟე სისტემები, სრულად განახლდა ელექტროგაყვანილობა. ჩატარდა ფუნდამენტისა და კედლების გამაგრებითი სამუშაოები, გარე ფასადისა და ინტერიერის სრული რეაბილიტაცია.

რესტავრირება ჩაუტარდა და აღდგა კედლის უნიკალური მხატვრობა.

დამონტაჟდება თანამედროვე სტანდარტების გარეგანათების, სასცენო განათებისა და აკუსტიკის სისტემები.

თეატრში მსგავსი მასშტაბის სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებულა.

სრული რეაბილიტაციის დასრულების შემდეგ, იგი შეძლებს უმაღლესი სტანდარტების დაკმაყოფილებას და უმასპინძლებს საერთაშორისო დონის ფესტივალებსა და ღონისძიებებს.

სპორტი და ახალგაზრდული პოლიტიკა ჩვენი საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. 2019 წელი მდიდარია სპორტული მიღწევებით. სენაკელმა სპორტსმენებმა, ამ პერიოდის მანძილზე, იასპარეზეს საერთაშორისო, რესპუბლიკურ, რეგიონულ და მუნიციპალურ ტურნირებსა და ჩემპიონატებში.

ახალგაზრდა მოკრივეთა შორის გამართულ საქართველოს ჩემპიონატში პირველი ადგილი და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ჩვენმა სპორტსმენმა გიორგი კუპრეიშვილმა. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში, დიდებს შორის, საქართველოს ჩემპიონატში პირველი ადგილი მოიპოვა საჩინო დავითაიამ, ევროპის ჩემპიონატზე, კრივში, ვიცე-ჩემპიონის ტიტული სენაკის სასპორტო გაერთიანების მოკრივემ ლუკა წულეისკირმა დაისაკუთრა. ბათუმის საერთაშორისო ტურნირზე, კარატეში წარმატებულად იასაპარეზა და ჩემპიონის ტიტული მოიპოვა სენაკელმა ვეტერანმა სპორტსმენმა გია ლატარიამ. ძიუდოში, ვეტერანთა შორის, საქართველოს ვიცე-ჩემპიონის ტიტული წილად ხვდა ელგუჯა გვასალიას.

მრავალფეროვანი სპორტული ასპარეზობებით გამორჩეული იყო ეს წელიწადიც. ტრადიციულ ტურნირებთან ერთად, მუნიციპალიტეტში ჩატარდა საქართველოში რაგბის ერთ-ერთი დამფუძნებლის, დამსახურებული მწვრთნელის, დავით კილასონიას ხსოვნისადმი მიძღვნილი რაგბის ფესტივალი, დაფუძნდა ცნობილი სენაკელი მოკრივის კახა ჟვანიას სახელობის ტურნირი, გაიმართა დამოუკიდებლობის დღისადმი და ევროპის სპორტის კვირეულისადმი მიძღვნილი ასპარეზობები სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

სენაკის საფეხბურთო კლუბი „ეგრისი" ასპარეზობს პროფესიონალური ეროვნულ მე-4 ლიგაში და სეზონის დასასრულისათვის სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილს იკავებს. გამორჩეულად დასამახსოვრებელი იყო მე-4 ლიგის მორიგი კალენდარული მატჩი „ეგრისსა" და თბილისის „სპაერს" შორის, რომელიც სენაკის „ეგრისის" დამაჯერებელი გამარჯვებით, 5-2 დასრულდა.

სამეგრელო ზემო-სვანეთის ჭაბუკთა ლიგის გათამაშების ცხრილში სენაკის „ეგრისი"U-19 ასპარეზობს, იგი, ამ ეტაპზე, სატურნინო ცხრილში მე-5 ადგილზეა.

საფეხბურთო კლუბის ასაკობრივი გუნდები სამეგრელო ზემო-სვანეთის რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის ეგიდით გამართულ ბავშვთა ასაკობრივ კალენდარულ შეხვედრებში და სხვა მრავალ ტურნირში აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას.

ჩვენი სპორტსმენებისთვის შესაბამისი პირობების შექმნის კუთხით, მუნიციპალიტეტში ჩატარდა და იგეგმება მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები.

სენაკს თანამედროვე ტანდარტების ოთხი განახლებული სპორტული მინი მოედანი შეემატა.

ჟიული შარტავას სახელობის პარკსა და მეშვიდე საჯარო სკოლაში არსებული ხელოვნურსაფარიანი სპორტული მინი მოედნების სრული რეაბილიტაციის ღირებულებაა 97 445,96 ლარი.

ჭყონდიდელის ქუჩაზე და მექანიკურის დასახლებაში სპორტული მინიმოედნების რეაბილიტაციამ 113 528,60 ლარი შეადგინა.

მინი მოედნებზე მოეწყო ხელოვნური საფარი, მაყურებელთა ტრიბუნები, განხორციელდა სადემონტაჟო და შემოღობვითი, საყრდენი ბოძების გამაგრების, ელექტროსამონტაჟო და სხვა სახის სამუშაოები.

ასევე, სენაკის ცენტრალურ სტადიონს ჩაუტარდა 139 954 ლარის ღირებულების სარეაბილიტაციო სამუშაოები. დამონტაჟდა ტრიბუნის სკამები,შემოიღობა პერიმეტრი პენოპლასტის ღობით, მოწესრიგდა ბავშვების სათამაშო მოედანი,მოეწყო საშხაპე და გასახდელი ოთახები, შეიღება ტრიბუნის მოაჯირები, მოედნის კარები.

მიმდინარე წელს რეაბილიტირდა, ბუნებრივი აირით და გათბობის სისტემით უზრუნველყოფილ იქნა სენაკის სასპორტო სკოლა. აქვე რეაბილიტაცია ჩაუტარდა ძიუდოს დარბაზსა და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის დარბაზის იატაკს.

რეაბილიტირდა სპორტის სასახლის სახურავი, კალათბურთის, ფრენბურთისა და ფეხბურთის მოედნები.

ქალაქ სენაკში, პირველი საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მსოფლიო დონის კალათბურთელის, სენაკის საპატიო მოქალაქის, ზაზა ფაჩულიას ინიციატივით, მისი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის და კომპანია „გალფის" ერთობლივი პროექტის ფარგლებში, ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო მოედნის მშენებლობას ჩაეყარა საფუძველი.

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საკალათბურთო მოედანი, რომლის მშენებლობაც მალე დაიწყება, უმნიშვნელოვანესი მოვლენა იქნება სენაკში სპორტის ამ სახეობის განვითარების თვალსაზრისით.

ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ახალგაზრდებში მისი პოპულარიზაცია და შესაბამისი ინფრასტრუქტურული მზაობა ადგილობრივი ხელისუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

ადამიანი ჩვენი ხელისუფლებისთვის უცვლელი და უმთავრესი ღირებულებაა. მერიის საქმიანობის ყველა ეტაპზე უმნიშვნელოვანესია საზოგადოების ჩართულობა და მათი ინტერესების გათვალისწინება. განხორციელებული პროექტები ჩვენთან გამჭვირვალედ და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს.

მომავალი წლიდან თვისობრივად გაუმჯობესებულ შედეგებზე ორიენტირებით, საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით, ჩვენ ვაგრძელებთ, ვგეგმავთ და საფუძველს ჩავუყრით მრავალ სასიკეთოპროექტს:

გაგრძელდება მუნიციპალიტეტის გზების რეაბილიტაცია, სანიაღვრე არხების, გარე განათების სისტემის მოწესრიგება და სპორტული მოედნების მოწყობა;

მუნიციპალიტეტის მასშტაბით გაგრძელდება გაზიფიცირების სამუშაოები.

გაგრძელდება ტროტუარებისა და ბორდიურების მოწყობა;

გაგრძელდება ნოქალაქევის მუზეუმ-ნაკრძალის რეკონსტრუქცია და შეიქმნება მასთან დაკავშირებული ტურისტული ინფრასტრუქტურა;

დასრულდება თეატრის რეაბილიტაცია;

დაგეგმილია მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის შენობის სრული რეაბილიტაცია.

გაგრძელდება სოფლების სწრაფი და ხარისხიანი ინტერნეტიზაცია;

გაიზრდება მუნიციპალიტეტის დასუფთავების შესაძლებლობები;

მოეწყობა საირიგაციო და დამშრობი არხები;

განვითარდება სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგები;

გაგრძელდება მოსახლეობის სხვადასხვა ფენის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებით უზრუნველყოფა;

ქალაქ სენაკში, პირველი საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ზაზა ფაჩულიას სახელობის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საკალათბურთო მოედანი აშენდება.

გაგრძელდება სენაკის ცენტრალური სტადიონის სრული რეაბილიტაცია;

გაიხსნება თანამედროვე სტანდარტების ახლადრეაბილიტირებული საბავშვო ბაღი „ოცნება";

დაიწყება სენაკის მე-5 ბაგა-ბაღის ახალი კორპუსის მშენებლობა;

დაიწყება მე-3, მე-4 ბაგა-ბაღების, ღვინჯილიას ქუჩაზე ახალი სააღმზრდელო დაწესებულების და ლეძაძამეს საბავშვო ბაღის მშენებლობა;

გაგრძელდება საჯარო სკოლებისა და სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების რეაბილიტაციის პროცესი.

სენაკის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრება 11 202 200 ლარით.

რეგიონალური განვითარების ფონდის თანხები - 4 267 483 ლარი

სტიქიის პრევენცია - 350 000 ლარი

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" – 738 000 ლარი

წყლის ხარისხის გაუმჯობესების პროგრამა - 370 000 ლარი

ბაღების მშენებლობა - 250 000 ლარი

საჯარო სკოლების რეაბილიტაცია - 1 020 000 ლარი

სამედიცინო ამბულატორიების მშენელობა-რეაბილიტაცია - 285 000 ლარი.

აღნიშნული სეგმენტები ჯამში შეადგენს 7 280 483 ლარს.

ამ და სხვა პროექტებს, ჩვენ ერთობლივად მაქსიმალური ძალისხმევით, განვახორციელებთ ჩვენი მუნიციპალიტეტის სასიკეთოდ, ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ, ქვეყნის წინსვლისა და განვითარების უზრუნველსაყოფად.

*** ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებიდან ხარჯმა შეადგინა 610 665 ლარი.**

*** მუნიციპალიტეტში ჩატარდა მასშტაბური ფესტივალები და კონკურსები.**

*** 2019 წელი მდიდარი იყო სპორტული მიღწევებით.**

სარედაქციო ჯოლეგია

მთავარი რედაქტორი ნინო სართანია

რედაქტორი მედეა ბაღათურია

ჟორესპონდენტები: მაია გერგაია, მარიჯა მიქაბერიძე

ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი ჟულიეტა ჩაჩიბაია

რედაქციის მისამართი:

სენაკი, ჭავჭავაძის ქ. №103, ტელ: 276150

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.

ინდექსი 66529

რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში

რეგისტრაციის №56/7-17

გაზეთი კომპიუტერზე აიწყო, დაკაბადონდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა შპს „ხოლი ენ"

ქ. ქუთაისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. 33

ტელ: 223779,223711, 223499